

ნოდარ მოსაკი

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
(მოსკოვი)

დიმიტრი ფირბარი

ბ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ეზიდური ხელნაწერი (ქარტია) – ფირ ხატიბ ჰსის მშური: მისი შესწავლა და კრიტიკული ანალიზი

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ეზიდური მშური – არაბულენოვანი წერილობითი დოკუმენტი. მშურებზე დაყრდნობით ერთ-ერთი სასულიერო კასტის – ფირების გარკვეულ საგვარეულოს მიაწერენ მიურიდების შესაბამის ტომებს. ეზიდიზმში ზეპირი ტრადიციის დომინირების გათვალისწინებით, უეჭველია ამ დოკუმენტთა ღირებულება ეზიდთა რელიგიისა და ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

ეს სტატია ეძღვნება ფირ ხატიბ ჰსის მშურს, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ერაცში 1994 წელს. 2017 წელს კი გამოიცა არსებითად იმავე სახით, ასევე ითარგმნა ინგლისურად. თუმცა, ამ პუბლიკაციებში მრავალი შეცდომაა, ბევრი საკუთარი სახელი, ეზიდურ ტომთა სახელწოდება და ტოპონიმიც არასწორადაა ამოკითხული, შესაბამისად, არაზუსტადაა გადმოცემული ისინი არაბულად და არასწორადვეა თარგმნილი ინგლისურად. ამ ნაშრომში გამოსწორებულია ფირ ხატიბ ჰსის მშურის წინამორბედ ვარიანტებში არსებული ხარვეზები. გარდა ამისა, ტომთა ანალიზის გათვალისწინებით, დაზუსტებულია ფირების ზოგიერთი საგვარეულოს სახელი.

საკვანძო სიტყვები: ეზიდები, მშურები, ფირ ხატიბის მშური, ეზიდური ტომები

მშურები შუა საუკუნეების ეზიდური არაბულენოვანი წერილობითი დოკუმენტებია, რომელთა მეშვეობით ერთ-ერთი სასულიერო კასტის – ფირების გარკვეულ საგვარეულოს მიაწერენ მიურიდების შესაბამის ტომებს. ეზიდიზმში ზეპირი ტრადიციის დომინირების გათვალისწინებით, უეჭველია ამ დოკუმენტთა განსაკუთრებული ღირებულება ეზიდთა რელიგიისა და ისტორიის შესასწავლად.

მშურების შესწავლა, ფაქტობრივად, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. თუმცა პირველად მშური გამოაქვეყნა ცნობილმა ფრანგმა ორიენტალისტმა რ. ლესკომ (Lescot 1938 :225-234), მართალია, არა მშურის სახელწოდებით და, შესაძლოა, ამ დოკუმენტის არსის შეუცნობლადაც. მშურების პირველი მკვლევარი იყო ფირ ხიდრ სულეიმანი, რომლის სტატია, მიძღვნილი ხატიბ ჰსის (ხატიბის) მშურისადმი, გამოქვეყნდა პოპულარულ ეზიდურ ჟურნალ „ლალიში“ 1994 წელს

(Sileman 1994). გარკვეული დროის შემდეგ ეს სტატია შევიდა მისსავე წიგნში (Sileman 2009).

ფირ ხიდრ სულეიმანმა თავის ნაშრომში აღწერა ეს დოკუმენტი, მისი ზომა, მოიხმომ მშურის ტექსტი, მასზე დართული შეიხ ადის ყასიდის გარდა. 2017 წელს ხატიბ ჰსის მშურის ფოტოასლი შეიტანა თავის წიგნში ხანა ომარხალიმ, რომელმაც გაიმეორა ფირ ხიდრ სულეიმანის მიერ აღრე გამოქვეყნებული მშურის არაბული ტექსტი, ამასთანავე, დაურთო მას ყასიდა და გადათარგმნა ისინი ინგლისურ ენაზე (Omarkhali 2017: 61-63, 377-398). მოგვიანებით კიდევ რამდენიმე სხვა მშური გამოქვეყნდა (Pirbari et al. 2020; Pirbari & Mossaki 2022a; Pirbari & Mossaki 2022b).

მშურების შესწავლაში ფირ ხიდრ სულეიმანის ფასდაუდებელი წვლილის აღიარების მიუხედავად, აუცილებელია მაინც აღინიშნოს მის მიერ ტექსტის ანალიზისას თუ გადაწერისას დაშვებული ზოგიერთი შეცდომა და უზუსტობა. როგორც უკვე ითქვა, ხანა ომარხალიმ გაიმეორა მისი არაბული ტექსტი, გადაიტანა ფირ ხიდრ სულეიმანის მიერ დაშვებული შეცდომებიც, თუმცა, პირველი მშურის გამოქვეყნებიდან ორ ათეულზე მეტი წლის შემდეგ ეზიდოლოგიაში დაგროვებული ცოდნა იძლეოდა ხელნაწერი უფრო ზუსტად წაკითხვის საშუალებას. ამგვარად, ხატიბის მშური ამოკითხული და ამოწერილია არცთუ მართებულად, ფოტომასლების არაერთგზის გამოქვეყნების მიუხედავად.

შეუძლებელია გადააფასო მშურების მნიშვნელობა ეზიდური რელიგიისა და ისტორიის შესწავლის საქმეში. რელიგიათმცოდნეობის თვალსაზრისით, ამ ტიპის მანუსკრიპტები საშუალებას იძლევა, ვიხილოთ ძირითად წმინდანთა ნუსხა, მათი თანმიმდევრობა, შევიტყოთ მშურების მფლობელთა და, შესაბამისად, ფირების საგვარეულოთა შესახებ, სხვადასხვა ნიუანსი ეზიდთა უმთავრეს წმინდანზე – შეიხ ადიზე, თვალი გავადევნოთ ეზიდიზმის სათავეებს ამ რელიგიის სხვადასხვა სუფიური ასპექტის მეშვეობით. ამ ტომთა ჩამონათვალი, გარდა ფირთა შესატყვისი საგვარეულოებისადმი კონკრეტულ ტომთა მიკუთვნებისა, გვაძლევს საშუალებას, წარმოვადგინოთ ამ ხალხის ეთნიკური ისტორია, ესოდენ დამახასიათებელი თრაიბალიზმის ძალზე მაღალი ხარისხით. ეზიდთა ისტორია არსებითად ტომთა ისტორიაა.

განსახილველი მშურის, ასევე მასზე ფირ ხიდრ სულეიმანისა და ხანა ომარხალის პუბლიკაციების ანალიზისას ჩვენ გამოვავლინეთ ეზიდურ ტომთა სახელები, რომლებიც მათ მიერ იყო დამახინჯებული ან საერთოდ გამოტოვებული. ამ ტომთა ნაწილი უკვე აღარ სახლობს ერაყში, არამედ ცხოვრობდა მხოლოდ საქართველოსა და სომხეთის ეზიდთა შორის, საიდანაც მოგვიანებით ნაწილობრივ ემიგრირდნენ რუსეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში. მაგალითად, ბარავის (ბარავანის) ტომის სახელს ხ. სულეიმანი და ხ. ომარხალი არასწორად კითხულობენ და უთითებენ როგორც ბარხანს. მათ ასევე მხედველობიდან გამორჩათ, რომ ტექსტში დასახელებულია ამ ტომის ოთხივე განშტოება: ჩამი, ჩლხანჯარი, შამი და ფირფირიკი, თუმცა, ხ. ომარხალიმ გამოაქვეყნა გვერდის ფოტოასლები ამ ტომებითურთ.

საინტერესოა, რომ საქართველოსა და სომხეთში ტომ ბარავის (ბარავანის) ფირები არიან ფირები ფირ ბუს საგვარეულოდან. არსებობს ამ სახელის მქონე ორი საგვარეულო (საგვარეულო ფირ ბუს ფირებისა), რომლებიც არ ენათესავებიან ერთმანეთს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ფირ ბუს

ოჯახი, რომლის წარმომადგენლები არიან ბარავის (ბარავანის) ტომის ფირები. ცნობილია, რომ XIX საუკუნეში ბარავის ტომმა, დაკარგა რა კავშირი თავის ფირებთან, ლალიშს მიმართა თხოვნით, რომ გამოეგზავნათ მათთვის ფირი. ამასთან დაკავშირებით ლალიშიდან გაიგზავნა ფირი ხიდრი, რომელიც მათი ფირი გახდა.¹ ალბათ დამთხვევა არაა, რომ ფირი ხიდრი ფირე ბუ გახდა ფირი ბარავის ტომისა, რომელიც ჩაწერილია ფირ ხატიბ ჰსი იბნ ფირ ბუტარის მშურში.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება აზრი, რომ ან XIX საუკუნეში ბარავის ტომი მიაწერეს ამ ფირებს, ან ისინი იყვნენ მათი მიურიდები, ან კიდევ ფირ ხიდრი სინამდვილეში ფირ ბუს საგვარეულოდან კი არ იყო, არამედ ბუტარის ფირთა საგვარეულოდან, მაგრამ დროთა განმავლობაში შესაძლოა, დაბოლოება „ტარ“ ყოველდღიურ მეტყველებაში მოიკვეცა და დარჩა უბრალოდ ბუ. 2003 წელს სოფელ არტამარში ჩვენ მოგვცა საშუალება, გავსაუბრებოდით ამ გვარის უხუცესს – ფირ ვაზირ ჰსოს, რომელიც ერევანში ცხოვრობდა. მან გვაუწყა, რომ მათ შეცდომით უწოდებდნენ ფირ ბუს ფირებს, სინამდვილეში კი ისინი წარმომადგენენ ფირ ბუტარის საგვარეულოს, რისთვისაც მაშინ, შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო, არ მიგვიქცევია ყურადღება. ფირ ვაზირ ჰსოს სიტყვათა მტკიცებულება შეიძლება იყოს ის გარემოებაც, რომ ფირ ბუს გვარის წარმომადგენელი ფირები (ამ შემთხვევაში, ფირ ბუს „ნამდვილი“ ფირები) სწორედ ამ ფირ ვაზირ ჰსოს ოჯახს ნათესავად არ მიიჩნევენ. გარდა ამისა, ამ ოჯახებს სხვადასხვა მიურიდი, შეიხი და ფირი ჰყავთ. ფირ ვაზირ ჰსოს ოჯახის მიურიდებია ტომები, რომლებიც მოხსენიებულია ფირ ხატიბ ჰსის მშურში.

2008 წელს ერავში ყოფნისას ნება დაგვრთეს, გვეხილა განსახილველი მშური. ის იწახება ფირ საიდის ფირ სმაილის ვაჟის ოჯახში, რომელიც მიეკუთვნება სოფელ კალაბადრიში მცხოვრებ ფირ ხატიბის ფირთა საგვარეულოს. ამ სოფლის მაცხოვრებლები ეზიდთა სოფლების გაერთიანებით დაბაში („მუჯამა“) გახდა ნაწილი შარიას დასახლებისა.

ფირ ხატიბ ჰსის გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ სოფელ ხატარაში (ალ-ყუმის რაიონი), ასევე სინჯარის ყაზას სოფელ ხანასორში.

წმინდა ხატიბის შესახებ

ეზიდუზმში ზეპირი ტრადიციის დომინირების გამო ეზიდების წმინდანთა ცხოვრებანი და საქმენი გადაეცემოდა თაობიდან თაობას ე. წ. გადმოცემათა – „სარჰატისა“ თუ „სალფას“ მეშვეობით, რომელთა უმრავლესობა საუკუნეთა განმავლობაში შეიძლება დაკარგულიყო. ამ გადმოცემათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია რელიგიის მცოდნეებთან – ულმდარებთან და ნაკლებადაა ცნობილი ფართო წრეებისთვის. ზოგიერთი ცნობის აღდგენა შესაძლებელია არაბული წყაროების მეშვეობით, როგორებიცაა: *Qalā'id al-Jawāhir fī minakib Abd al-*

¹ ფირ სინი ბაჰრის მშურის თანახმად (Pirbari et al. 2020), ბარავის ტომი იყო მიურიდი ფირ ბაჰრის (ფირ სინი ბაჰრის) ფირთა საგვარეულოსი. დღემდე ბარავის ტომის შამის შტოს წარმომადგენლები არიან მიურიდები ფირ ბაჰრის საგვარეულოსი. ალბათ, დროთა განმავლობაში ბარავის ტომმა დაკარგა თავისი ფირები და გამოითხოვეს ახალი ფირი.

Kadīr al-Jīlanī (al-Tādīfī 1956) და *Manaqib Sheikh Adi ibn Musafir* (Badri 915/1509). მათში მოცემულია შეიხ ადის თანამოღვაწეების მონათხრობები მისი სასწაულმოქმედებებისა და მოღვაწეობის შესახებ. ზოგიერთი ცნობა შეიხ ადის თანამოღვაწეებისა და მისი ძმისწულის შვილის, შეიხ ჰასან იბნ შეიხ ადი აბუ ალ-ბარაქათის, შესახებ, როგორც უკვე ითქვა, ასახულია მშურებში, რომელთა წყალობით, ისტორიული ქრონოლოგიის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა, დაგვედგინა სხვადასხვა წმინდანის ცხოვრებისა და საქმიანობის მიახლოებითი დრო.

გარდა ამისა, მშურებმა მოგვცა საშუალება იდენტიფიცირება მოგვეხდინა ბევრი უზიდი წმინდანისა, გამოგვევლინა მათი სახელების თავდაპირველი ფორმები, რომლებმაც დროთა განმავლობაში, ფაქტობრივად, ზეპირი ტრადიციის უზიდურ გარემოში ენის თავისებურებათა გამო მიიღო სავსებით სხვა ფორმა და სხვანაირადაც წარმოითქმებოდა. მაგალითად, წმინდანი ისებიანი მშურებში არის დაფიქსირებული როგორც ისა იბნ აბი; მარყაბესი – ‘ამარ ყუბაისი; ჰასნამანნი – ჰასან იბნ მამი; მუჰამმად იბნ რაში კი – მაჰმარამანი. ყველა ეს წმინდანი იქცა ფირთა საგვარეულოების დამფუძნებლებად – შესაბამისად: ისები, მარყაბესი, ჰასნამანნი და მაჰმარამანი. მშურებმა ასევე მოგვცა შესაძლებლობა, მოგვეხდინა იდენტიფიცირება დროთა განმავლობაში ფირ ხატიჰის სახეცვლილი სახელისა, რომელსაც ეძღვნება აღნიშნული ხელნაწერი.

ამ შემთხვევაში, სახელთა მიმსგავსებული თანახმოვანების შენარჩუნების გარდა, როგორც ჩამოთვლილ სახელთა დროს, ეს ასევე განაპირობა „სარჰატიმ“- თქმულებამ ამ წმინდანზე, სადაც მითითებულია, რომ ის იყო ხატიბი, ანუ მქადაგებელი. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევძელით დაგვესკვნა, რომ ხატიჰის არის შეიხ ჰასანის ორმოც თანამოღვაწეთაგან ერთ-ერთი და მშურებში – „შეიხ ჰასანის 40 წმინდანთა“ სიაში მოხსენიებულია ხატიბ ისას სახელით.

გადმოცემაში ნათქვამია, რომ ხატიჰის არის შეიხ ადის თანამოღვაწე და, ქრონოლოგიიდან თუ გავითვალისწინებთ, ალბათ, აქ იგულისხმება შეიხ ადი II – შეიხ ჰასანის მამა, რაც არცაა გასაკვირი, რადგან უზიდურ ტრადიციაში სახებანი შეიხ ადი იბნ მუსაფირისა და მისი ძმისწულის შვილის, შეიხ ადი აბუ ალ-ბარაქათისა, შეერწყა ერთმანეთს (ალბათ, ერთი და იმავე სახელის გამო). უზიდური ისტორიის ზეპირმა ტრადიციამ კი ხელი შეუწყო ისტორიული სიზუსტისგან დაშორებას. გარდა ამისა, უზიდური ტრადიცია მათ ერთი არსის („სურრი“) მქონეებად აღიქვამს და არ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას მათს პიროვნულ სხვადასხვაობას. შეხ შამსის (Beyta Şêşims) შესახებ ბეითში, კერძოდ, ნათქვამია:

Şîxadî bin Misêfir, Mêr hatin û silav lê kir, Dar û bera sicûde pê kir.	შიხადი იბნ მუსაფირი როცა ის მოვიდა, წმინდა მამები მიესალმნენ მას ხეებმა და ქვებმა თავყვანი სცეს
Şîxadî Şêx Berkate, Ji wê nûrê kir xelate, Ez zû bangîya dihate.	შიხადი შეიხ ბარქათი მადლმოსილია იმ ნათლით ის მყისიერად მიდის მოხოვნელთა საშველად

არცთუ იშვიათად გადმოცემებში შეიხ ადი II და შეიხ ჰასანი (მამა-შვილი) წმინდანებისადმი უზიდთა მიმართვა-ვედრებისას ერთად მოიხსენიებიან, რაც,

სავარაუდოდ, განპირობებული მათი საქმიანობით, რომელიც მდგომარეობს მათი წინაპრებისა და უზიდიზმის მთავარი წმინდანის – შეიხ ადი იბნ მუსაფირის საქმის გაგრძელებაში, რომლის თანამოღვაწეთა მემკვიდრეები მათ (შეიხ ადი II-ისა და შეიხ ჰასანის) გარს ახვევია. შეიხ ჰასანის ერთ-ერთი თანამოღვაწე (40 წმინდანთა სიიდან) სწორედ ფირ ხატიპსია, რომლის მამა – ფირ ბუტარი, თავის მხრივ, იყო თანამოღვაწე შეიხ ადისა. ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება შეიხ ადი იბნ მუსაფირი, კერძოდ კი, ფირ ბუტარი მოხსენიებულია ფირ სინი ბაჰრის მშურში როგორც ფირ აბუ ტაჰირი.

გადმოცემა ხატიპსის შესახებ გვაუწყებს: *ხატიპსი იყო ფირ ბუტარის ვაჟი, რომელიც იყო ხარბანდა – მსახური შეიხი ადისა. იგი აგროვებდა შემოწირულობებს („ხერატს“) თემისთვის, რაც ურიგდებოდათ ღარიბ-უპოვართ. თავად ხატიპსი – ფირ ბუტარის ვაჟი გახდა მქადაგებელი („ხატიბი“) და იყო თანამოღვაწე შეიხ ადისა, რომელმაც ერთხელ ის საქადაგებლად გააგზავნა, თან დაავალა, დაეჯლო მიურიდები შემოწირულობათა შესაგროვებლად. მას შემდეგ, რაც ფირ ხატიპსიმ შეაგროვა შემოწირულებანი, გზად აზრად მოუვიდა მიეთვისებინა შეგროვებულ შემოწირულობათა (მეთელი), რაც გააკეთა კიდეც, მერე მიითვისა ნახევარი, მერე კი – მთელი შემოწირულობა. იფიქრა, მოძღვარს შემოწირულობათა არარსებობას აუუხსნი მწირმოსავლიანობითა და ამის გამო შექმნილი თემის მძიმე მდგომარეობით.*

უკან დაბრუნებისას ხატიპსიმ დაინახა მისკენ მორბენალი ცოფშეყრილი აქლემი. ფირი მას გაექცა, თავი შეაფარა ჭას, სადაც მისკენ გამოცურდა გველი, მისგან თავის დაღწევის მიზნით, ხატიპსი ჩაეჭიდა ჭის კედელში ამოზრდილი ხის ფესვებს. ის იყო თითქმის ამობობლდა ჭიდან, რომ დაინახა, თავს გადაედრღნა ფესვები და ეს-ეს არის ისევ ჭის ფსკერზე აღმოჩნდებოდა. მაშინ მან იხმო შეიხ ადი და პატიება სთხოვა, რის შემდეგ აღმოჩნდა იქ, სადაც იყო.

ლალიმის მიმდებარე მთა მშატის ფერდობზე, არის ფირ ხატიპსის წმინდა ადგილი („აყდა“ ანდა „ნიშანგაჰ-ი“).

უნდა ითქვას, რომ წმინდა ყავლებში ფირ ხატიპსის სახელი არ გვხვდება, მაგრამ არსებობს ყასიდა, რომელსაც უწოდებენ ფირ მუჰამმადის, ხატიპსისა და ფირ აფატის (Qesida Pîr Mihemed, Khatîb Pisî û Pîr Afat) ყასიდას, თუმცა, თავად ტექსტში საუბარი ეხება მხოლოდ ფირ მუჰამმადს.

ხატიპსის ფირთა ოჯახის ზეპირი ტრადიცია გვაუწყებს, რომ ხატიპსის ფირების მიურიდები იყვნენ ტომები კიკი და მილლი, ასევე ბევრი ტომი ბაღდადის, ბასრას, თიქრიტის არაბებისა.

დღესდღეობით ხატიპსის ფირთა მიურიდები ერაყში არიან: *შარყი, ზენდინი, დაუდი* – შანგალში; *ვალატმეხში* კი (შეიხანის საამიროს ტერიტორია) – *ბასი, ხატარი* (მათი ქვედანაყოფები – *ბენშარაფი, ბენყალკი, კარკიანი*).

უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, მშურები გადაეცემოდათ ფირებს როგორც მტკიცებულება შემოწირულობათა მისაღებად, რომელთაც ძირითადად ეწოდებოდათ *ზაქათი* ან *ფტო* (ფიტრ), მაგრამ ფირ ხატიპსის მშურში, ისევე როგორც ფირ ომარხალის მშურში, სიტყვა *ზაქათი* არ გვხვდება.

ხატიპსის ფირთა შეიხები არიან შეიხები ხათუნა ფახრას, ფირები კი – ფირ ჰასნამანის საგვარეულოდან.

ფირ ვაზირ ჰსოს ოჯახის შეიხები არიან შეიხები შეხ ალუ შამსას საგვარეულოდან, იმ დროს, როცა ამ მშურში ფირ ბუტარის ფირთა შეიხები არიან

შეიხები ხათუნა ფახრას საგვარეულოდან. რაც, როგორც ჩანს, განპირობებულია, დაუდგენელი მიზეზებით შეიხთა ცვალებადობით.

ამასთან, ამ მშურში პირველადაა ნახსენები სახელები წმინდანთა – შეიხთა: შასმადინი (შეიხ შამსი), ფახრადინი, სჯადინი, ნასრდინი, ხათუნა ფახრა. ისინი არ არიან ნახსენები სხვა მშურებში. არაა გამორიცხული, რომ ეს სახელები მოგვიანებითაა დამატებული უკვე კასტური სისტემის ფორმირებისა და ამ წმინდანთა როლის გათვალისწინებით.

ხატიპსის მშურის მოკლე აღწერა

მშური იწყება ყურანის აიათიდან - „ალ-ქურსი“, შემდეგ ბეჭედი, სამი ეზიდი წმინდანის სახელი, ასევე ხატიპსი.

ფირ ხატიპსის მშური

ალ-ქურსის აიათის ტექსტი

მარჯვნივ – ბეჭედი შეიხ შამსის² სახელით

შუაში – ბეჭედი შეიხ ადის სახელით

მარცხნივ – ბეჭედი შეიხ ჰასანის სახელით

შეიხ ჰადის³ სახელი – ზემოთ

შეიხ შამსის სახელი – მარჯვნივ

შეიხ ჰასანის სახელი – მარცხნივ

ფირ ხატიპსის შეიხი – წერია მარჯვნივ

ხათუნა ფახრანი – მარცხნივ

იგულისხმება, რომ ფირ ხატიპსის შეიხი ხათუნა ფახრაა

გულმოწყალე და ყოვლისშემწე ღვთის სახელით!

ფირ ხატიპსის ეს მშური, ფირ ბუტარის ვაჟიშვილისა (დაე, ღვთის⁴ სიწმინდეში მყოფობდეს მისი სული), დაწერილია (მისი) შეიხ ჰასან ალ-ბასრის⁵ მიერ (დაე, დალოცოს ღმერთმა მისი უძვირფასესი სურრი და დაე, დაგვლოცოს მან კანია სპის⁶ თავშეყრის ადგილას, შეიხ ადის⁷ საბჭოზე (დაე, დალოცოს ღმერთმა მისი უძვირფასესი სურრი და დაე, დაგვლოცოს მან შეიხ შამსის (დაე, ღვთის სიწმინდეში იმყოფოს მისმა სულმა, მალაქ ფახრადინის,

² შეიხ შამსი – ძმა შეიხ ფახრადინის, სჯადინისა და ნასრდინისა. ოთხივე უზდინ ამირის ვაჟიშვილებია, რომელთა შთამომავლებმა წარმოქმნეს შეიხთა ცალკე ენდროგამური შტო.

³ იგივეა, რაც შეიხ ადი. ეს ალბათ განპირობებულია სპეციფიკური წარმოთქმით ერაყის ზოგიერთ ეზიდურ სოფელში.

⁴ იგულისხმება: დაე, აცხონოს ის ღმერთმა!

⁵ იგულისხმება შეიხ ჰასანი, რომელსაც აიგივებენ ჰასან ალ-ბასრისთან. ეზიდური წარმოდგენით, ჰასან ალ-ბასრი სურრია (განსახიერებაა) შეიხ ჰასანისა.

⁶ კანია სპი (სიტყვასიტყვით – თეთრი წყარო) – წმინდა წყარო ლალიშში.

⁷ იგულისხმება შეიხ ადის წმინდანთა საბჭო.

ნასრდინის, სჯადინისა და სხვა შეიხებისა და წმინდანების (ვალიების⁸) იქ ყოფნისას.

ეს მშური დაიწერა ხატიჰისისთვის, ფირ ბუტარის ვაჟიშვილისთვის, რათა მისმა მიურიდებმა შეისმინონ, არ დაარღვიონ ის და აღიარონ ეს მშური, რადგან ამ მშურის შინაარსს ისეთი სიწმინდე აქვს, შეიხ ადი იბნ მუსაფირ ამ-შამის რომ წარმოეთქვა. ამიტომ, ვინც ამ მშურს დაარღვევს, ის დაარღვევს შეიხ ადის სიტყვას და ის, ვინც ამ მშურს დაარღვევს, ის ფლიდია⁹ და ერეტიკოსი¹⁰ და არ ექნება მას მფარველობა.

და ის (შეიხ ადი) წარმოთქვანს ლექსებს¹¹

შემდეგ მშურში შეიხ ადის ყასიდაა არაბულად, რომელიც გამოტოვებულია და არაა ხ. სულეიმანის (Sileman 1994; 2009) მიერ გამოქვეყნებული, ხ. ომარხალი კი (Omarkhali 2017, 385-388) მას არაბულად და ინგლისურად მოიხმობს.

მოწყალე და მწყალობელი ღმერთის სახელით¹²!

ესაა ჩამონათვალი ჩვენი ბატონის, შეიხ ადი იბნ მუსაფირის (დაე, ნათელ იყოს მისი განსასვენებელი), 40 თანამოღვაწისა და პირველი მათ შორის მუჰამმად იბნ რაში, ჰასან იბნ მამი, ისა იბნ აბი¹³, ფირ ჯარვანი, უმარ ალ-ყუბაისი, ჰასან ალ-ჰასრი, ჯუნდი ალ-ბახუზი, ყადიბ ბილბან ალ-მუსლი¹⁴, მუჰამმად შანბაქი, აბუ ბაქრ ალ-ჰუმსი, საიდ ალ-ბადავი¹⁵, იბრაჰიმ ალ-რამლი, ყაიდ ალ-ბუზი, ჰაჯი რაჯაბ ალ-ბერსტაკი, ამირ მუჰამმად ალ-ყალანსი, ხიდრ ალ-ჰაქარი, ალი თოკლი, ისჰაყ ალ-ქურდი, ალი დარდიალი¹⁶, ხმფ ალ-დნისრი¹⁷, ჰამად ალ-ბუვაზიჯი¹⁸, აბდ ალ-აზიზ ალ-

⁸ ავლია, ანუ წმინდანები, ეზიდურ ტრადიციაში მათ ასევე უწოდებენ „ხას“.

⁹ მუნაფიკი.

¹⁰ ზანდიკი.

¹¹ ბეითები.

¹² ამ წინადადების თარგმნა ძირითადად მიღებულია ასეთი ფორმით: სახელითა ალაჰისა მოწყალის და მწყალობლისა.

¹³ ისა იბნ აბი – ისეზიანი, რომელიც იყო ხაზინადარი შეიხ ადისა. ხელნაწერში ხ. სულეიმანმა არასწორად ამოიკითხა მისი სახელი და დაწერა ისა ალ-ზაბი. იგივე შეცდომა გაიმეორა ხ. ომარხალიმ.

¹⁴ ყადიბ ალ-ბან – ასეთი ფორმა გვხვდება არაბულ წყაროებში.

¹⁵ ამ სახელით ცნობილია სუფია - ბადავის ტარიკატის დამფუძნებელი - ცხოვრების წლებია დაახლოებით 1199–1276, რაც არ ემთხვევა შეიხ ადის ცხოვრების პერიოდს (XI საუკუნის 70-იანი წლები - XII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი). მის ბიოგრაფიაში არის ცნობები ლალიშში მისი ყოფნისა და იქ მის მიერ შეიხ ადი მუსაფირის განსასვენებლის მონახულების შესახებ. აჰმად აბნ ალი ალ-ბადავის (საიიდ ალ- ბადავის) „შეიხ ადის 40 თანამოღვაწის სიაში“ ჩართვის შესახებ უტყუარი ვერსიის წარმოდგენა ახლა ჩვენ არ შეგვიძლია. ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს (Mayeur-Jaouen 1994; al-Misrī 1277/1860–1).

¹⁶ ხ. სულეიმანსა და ხ. ომარხალისთან შეცდომით წერია „დარდბალი“

¹⁷ ხმფა ალ-დნისრის სახელი აღნიშნულ ტექსტში ხ. სულეიმანის მიერ გამოტოვებულია, იმავე შეცდომას მის შემდეგ უშვებს ხ. ომარხალიც.

სარსარი¹⁹, დაუდ თხუმი, იბრაჰიმ ყუნსი, მუჰამმად არ-რანბუსი, საიდ ალ-ბაჰი, უმარ ალ-მაზრაი, მუბარაქ იბნ უხთი, შეიხ ნუმან, შეიხ ფტიან, მატარ იბნ ფაიდ, ბაშირ იბნ ღანიმა, ჯამალ იბნ სალამ, შეიხი რასლან ალ-მაჰრისანი, ჰუსეინ ალ-ბარხვარკი, აბუ ბაქრ ყარყური, მუჰამმად იბნ შამსი, რაიჰან აბდ ალ-შეიხ ადი, დაუდ ხარბანდ, მუჰამმად იბნ რაბანი ბეჟელი ორმოცისა, დაე, აცხონოს ის ღმერთმა.

ეს ხსენება ჩვენი ბატონის, შეიხ ჰასანის, 40 თანამოღვაწისა, რომელიც არის – უმწიკვლო, მოღვაწე,²⁰ თაყვანმცემელი, ღვთისმოსავი²¹, სათნო, წმინდა, მეცნიერი, მშრომელი,²² მცოდნე, ერთმორწმუნეთა იმამი და სუნათის²³ რელიგიის გზა, მუჰამმადის მამის,²⁴ შეიხ ჰასანისა – დაე, აცხონოს ის ღმერთმა.

და მათგან პირველია ჰაჯი მუჰამმად ალ-ქიფრზამანი, ისმაილ იბნ ყაბილა, შამს მუჰამმად ალ-დიმაყი, ხიდრ ქურდი, ჰამად ალ-ბუვაჯი, ფირ ბუბ ალ-ბარზანი²⁵, აბუ ბაქრ ალ-დუში, ფირ ბუბ იბნ ჰამიდი²⁶, შეიხ მატარი,

¹⁸ ფირ ხიდრასა და ხ. ომარხალისთან ეს სახელი გამოტოვებულია.

¹⁹ მანუსკრიპტში სიტყვა „აბდულაზიზის“ შემდეგ მშურის გადამწერმა დაწერა სიტყვა და გადახაზა, ამით მიუთითა თავის შეცდომაზე. ხ. ომარხალი, გადახაზული სიტყვის მიუხედავად, მას ტექსტში აღადგენს როგორც التامين (Thamin) და თარგმნის მას როგორც „მერვეს“, თუმცა, ნათელია, რომ აქ ამ სიტყვის არსებობა შეუძლებელია. გადამწერი დოკუმენტში რამდენიმე გზის შეცდომისას მას გადახაზავს ისევე, როგორც ალი მუქანის სახელის გადახაზვის შემთხვევაში.

²⁰ ასკეტი.

²¹ თავშეკავებული.

²² რწმუნადლიერი.

²³ სუნათი ან სუნათხანა - ითარგმნება როგორც ძველი ჭეშმარიტი ტრადიცია და სიტყვა ეზიდხანას ან საყოველთაო საეზიდოს სინონიმი ეზიდურ წმინდა ყავლებში. ეზიდები თვლიან რომ ისინი არიან ჭეშმარიტი ტრადიციის მცველები. თუმცა უნდა ითქვას, რომ სიტყვა სუნიტიც ამ სიტყვიდან მომდინარეობს, მაგრამ ეზიდები თავისებურად ხსნიან ამ ტერმინის გამოყენებას.

²⁴ სიტყვა „აბა“ არაბულად მამას ნიშნავს და არაბულ ტრადიციაში „ქუნია“, ესაა ადამიანისადმი პატივსაცემი მიმართვის გამომხატველი სიტყვა, თუმცა, ხ. ომარხალიმ ის მოიხმო როგორც საკუთარი სახელი. სინამდვილეში აქ მოხსენიებული მუჰამედი შეიხ ჰასანის ვაჟიშვილია. იგულისხმება აბა მუჰამად შეიხ ჰასანი, ანუ მუჰამადის მამა შეიხ ჰასანი.

²⁵ არსებობს ორი ვერსია: ალ-ბარზანი და ალ-ბაჰზანი. ჩვენ მიგვაჩნია რომ სწორი ვერსიაა ალ-ბაჰზანი, რადგან ეს ცნობილი ეზიდური დასახლების სახელწოდებაა ალ-ბაჰზან. ორი ძველი სოფელი ბაშიყა და ბაჰზანი არაბულიდან მომდინარეობს - ბეით ალ-ამყ და ბეით ალ-ჰაზნ (სინარულის სახლი და წუხილის სახლი). ბაჰზანში არის ფირ ბუბის წმინდა სალოცავი.

²⁶ ფირ ხიდრი და ხ. ომარხალი აქ არ სვამენ მძიმეს, სავარაუდოდ, მათ მიიჩნიეს, რომ ფირ ბუბ იბნ ჰამიდ შეიხ მატარი – ერთი სახელია, იმ დროს, როცა ფირ ბუბ იბნ ჰამიდი ერთი წმინდანია, შეიხ მატარი კი – სხვა. თუმცა, არაბულ ტექსტშიც, როგორც ეს მიღებულია არაბულ ენაში, მძიმეთა ნაცვლად იხმარება ასო „ვაჰ“ და ის აქ არაა. მიუხედავად ამისა, ტექსტის ანალიზისას, შესაძლებელი იყო გაგება, რომ ისინი ორი სხვადასხვა სახელია.

ჰაჯი ალი ალ-სირანი²⁷, შეიხ ჯამილი, შეიხ ზარიბი²⁸, ალი-მუქანი²⁹, შეიხ ალი ალ-ქაფი³⁰, აბდ ალ-ჰამიდ, ჰაჯი ჰასან ალ-მარდანი, შეიხ არაფატ ალ-ჰაქარი, მუჰამმად ალ-ნირნი, მუჰამმად ალ-დარაჯანი, შეიხ ისა იბნ საიდ ალ-ბადავი, ჰასან ალქან, ალი ბუბაქრან³¹, ფირ ბუვალ სიდარი³², ფირ დალი ბიბადი³³, ალი მუქანი³⁴, უმარ ალ-ხუბი³⁵, ჰაჯი მაქი, ჰაჯი ისრაილი, ისა ალ-ბუდი³⁶, შეიხ ჰასან ალ-ჩინარი³⁷, უმარ ხალანი, დარიბ³⁸ ჰაქაქ³⁹ არბილი, ბუბ ალ-ხვანი, ხატიბ ისა, ჯარაბ⁴⁰, ფირ ხალ ალ-სიჰრქი⁴¹, მუჰამმად ალ-ბაიბუნი⁴², ბუბ ალ-ისანი, მუსა სარირი, მუჰამმად შაჰდი⁴³, მუჰამმად ალ-ხანდაყი, სულაიმან ალ-ბაბაქრი დასასრული ყველასი, რომლებიც არიან თანამოღვაწენი ჩვენი ბატონისა, შეიხ ჰასანისა. დაე, აცხონოს ის ღმერთმა.

და დიდება ორთავ საუფლოს ღმერთს!

ამ მშურის მოწმეები არიან ფირ ბუბ ალ-ბარზანი, ასევე ეს შეიხებიც და წმინდანები – ხატიპსის იბნ ფირ ბუტარის ამ მშურის, მისი შეიხია ხათუნა

²⁷ შეიძლება წაკითხო როგორც სიზანიც.

²⁸ ხ. ომარხალისთან შეცდომითაა მითითებული ზურიბი.

²⁹ აქ ეს სახელი გადახაზულია, რითაც გადამწერი მიუთითებს თავის შეცდომაზე. ამას არ აღნიშნავს არც ხ. სულეიმანი და არც ხ. ომარხალი.

³⁰ ხ. ომარხალი აქ არ სვამს მძიმეს, რითაც ორ სახელს აერთიანებს.

³¹ ალბათ, ესაა ალუბაქრის ფირთა საგვარეულოს წინაპარი. ხ. სულეიმანმა შეცდომით დაწერა „ალი ბუბქილანი“ და ხ. ომარხალიმაც მისდა კვალად იგივე გაიმეორა.

³² ხ. ომარხალისთან არცთუ სავსებით სწორადაა მითითებული – სიდრი. სიდარის მართებულობა განპირობებულია ეზიდებით დასახლებული ერთ-ერთი ადრეული სოფლის – სედარის სახელწოდებით ერაყის ქურთისტანში.

³³ ამჟამად ამ საგვარეულოდან მხოლოდ ერთი ოჯახიღა შემორჩა (ფართო გაგებით) სირიამში.

³⁴ სწორედ აქ უნდა იყოს ადრე გადახაზული ალი მუქანი, იმ დროს, როცა ხ. ომარხალის ორჯერ შეცდომით მოჰყავს ეს სახელი.

³⁵ ხ. ომარხალისთან წერია უმარ ალ-ხავბი. აქ შესაძლებელია ორივე ვარიანტი.

³⁶ ხ. სულეიმანსა და ხ. ომარხალისთან შეცდომით წერია ისა ალ-ბადავი. მართებულობა ისა ალ-ბუდისა მტკიცდება სხვა მშურებითაც, კერძოდ, ამარ ყუბაისის მშურით.

³⁷ წერია ალ-ჯინარი, რადგან არაბულში არაა ასო ჩ.

³⁸ სახელ დარიბს ხ. ომარხალი არასწორად მოიხმობს და თარგმანში – „უცხოქვეყნელი“ („უცხოელი“). არადა, აქ და სხვაგანაც ეს საკუთარი სახელია.

³⁹ აქ შეიძლება წაკითხოთ როგორც მაქაქილი, მაგრამ სხვა მშურებთან შედარებისას, კერძოდ, ამარ ყუბაისის მშურთან, აუცილებელია წაკითხოთ როგორც ჰაქაქი.

⁴⁰ ეს სახელი გადახაზულია, რითაც გადამწერი გვაუწყებს, რომ სახელი მან შეცდომით დაწერა, მაგრამ ხ. სულეიმანი თავის ტექსტში ამ სახელს აღადგენს, მისდა კვალად იმავე შეცდომას იმეორებს ხ. ომარხალიც.

⁴¹ ხ. ომარხალი შეცდომით წერს მას როგორც შარკი.

⁴² ომარხალი შეცდომით წერს მას როგორც ბიბვანი.

⁴³ აქ შეიძლება წაკითხულ იქნეს ის როგორც შაჰრიც, თუმცა, ვითვალისწინებთ, რომ ყუბაისის მშურში ეს სახელი წერია როგორც ალ-ბაშჰადი. ამიტომ ჩვენ წაკითხეთ ის როგორც შაჰდი. ხ. ომარხალისთან შეცდომითაა შაჰრი.

ფაზრა. ეს მიურიდეები და ქონებაა მთლიანი ტომი ბასისა⁴⁴ და მეათედი ნაწილი მათი მთელი ქონებისა, ბარავებიც⁴⁵ მისი მიურიდეებია, და მეათედი ნაწილი ცხვრებისა და საქონლისა, კალოსი, ბაღებისა და ნათესებისა და მეათედი ნაწილი სტურკებ-ისა და ბანდურების ქონებისა ასევე მიურიდეებია ამ მშურისა და ტომ ალ-ყაიდი სტრიზარკიდანაც მისი მიურიდეებია (ის მათი მარაბია⁴⁶) და დაქან-ი (ის მათი მარაბია). ყველა ხატარიც ასევე მიურიდეებია ამ მშურისა. ტომი ბალად სინჯარ ყირანიც და რაშკების (ტომიც) ამ მშურის მიურიდეებია.

რაშიეებიც⁴⁷ მიურიდეები არიან, ტომი შარყიებიც⁴⁸, ყველა შკაკი (მიურიდეები არიან) , მჰირნიები⁴⁹ მიურიდეები არიან, დუსტკიები⁵⁰ – მიურიდეები არიან, ნახევარი რუბარ⁵¹ იმადია (მეათედი), მამუსის ტომი⁵² (მარაბი), ხისკის ტომი⁵³ (მარაბი), ალ-მსყორას ტომი⁵⁴ (?) (მარაბი), შაჰმარანის ტომი (მარაბი), აყონსის ტომი (მარაბი), რაშკის ტომი (მარაბი), ნახევარი ალ-მაბული⁵⁵ (მეათედი), ნახევარი სირია (მეათედი), და მეოთხედი ბაღდადის (მეათედი), წყლები და წყაროები ჯარვანას აღმოსავლეთით (მეათედი), შაჰმირან⁵⁶-ისა (მეათედი), წყლები და წყაროები ალ-კიკის ვილაიეთისა (მეათედი) და ალ-ყაიდის ალაების (მარაბი), ქარ

⁴⁴ ბასი (მრავლობითი – ბასანი) – უზიდი ტომი, რომლის განსახლების ადგილი ოდესღაც იყო ჯეზირეს რაიონი თურქეთში.

⁴⁵ ხ. სულიმანი აღადგენს მას როგორც ბარხანს, ხ. ომარხალისთან კი არაბულ ტექსტში ის ისევეა აღდგენილი როგორც ხ. სულიმანთან, მაგრამ სქოლიოში იძლევა განმარტებას, რომ ეს სიტყვა ნასესხებია სპარსულიდან. ხოლო მის ინგლისურ თარგმანში კი ეს სიტყვა როგორც ეთნონიმი საერთოდ არაა.

⁴⁶ მარაბი – სულიერი დამრიგებელი, მოძღვარი, მასწავლებელი.

⁴⁷ ფირ ხიდრთან ეს ტომი გამოტოვებულია, ხ. ომარხალისთან კი შეცდომით წერია რაშიდან.

⁴⁸ ფირ ხიდრთან ეს ტომი გამოტოვებულია , ხ. ომარხალისთან კი შეცდომით წერია მარათიბანი.

⁴⁹ ხ. ომარხალისთან – სიჰრიბია.

⁵⁰ ხ. ომარხალისთან – დარსტიკანი.

⁵¹ რუბარ - შეიძლება მდინარეს ნიშნავდეს, ვინაიდან ერაყელი უზიდები მდინარეს რუბარს უწოდებენ.

⁵² ხ. ომარხალისთან – მამირაშანი.

⁵³ ხ. ომარხალისთან – ჰასკაია.

⁵⁴ ცუდად იკითხება. ფირ ხიდრთან არასწორადაა მითითებულია მასაკანი.

⁵⁵ ხ. სულიმანთან სტამბულია, მაგრამ რთულად იკითხება. ორიგინალში ამ სიტყვის თავზე გადახაზულია სიტყვა, რომელიც იკითხება როგორც ატჰული. ამ მანუსკრიპტში შეინიშნება შეცდომები ტოპონიმების წერისას, ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, რომ ეს იყოს სიტყვა სტამბული.

⁵⁶ შეიძლება წაკითხულ იქნეს როგორც შაჰმირლანის წყლები.

მილქ⁵⁷ -ის მეოთხედი, ქულ ჰუჯ-ის⁵⁸ (?) (მეათედი), ნახევარი მეოთხედი ბასრასი (მეათედი), ალ-ჰავერის (მარაბი), ჰ...ნ⁵⁹ ტომი (?) (მიურიდები).

ეს გენეალოგიაა წინაპრების ფირ ჰსო იბნ ფირ შარო იბნ ფირ სმაილ იბნ ფირ ნასრ იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ იუსუფ იბნ ფირ ნასრ იბნ ფირ ოსმან იბნ ალი იბნ ფირ ჰაჯი იბნ იუსუფ იბნ ფირ ზენდინ იბნ ფირ ხატო იბნ ფირ ჰაჯი იბნ სმაილ იბნ ფირ ზენდინ იბნ ფირ ჯამო იბნ ხალატ იბნ ფირ ხერო იბნ ფირ ხალიდ იბნ ფირ აბდალ-ის იბნ ფირ ხატიბ ჰსი იბნ ფირ ბუტარ. დაე, აცხონოს ის ღმერთმა და ყველა.

ეს გენეალოგიაა წინაპრების ფირ ისა იბნ ფირ ისა იბნ ფირ უსო იბნ ფირ ნასრ იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ იუსუფ იბნ ფირ ნასრ იბნ ფირ ოსმან იბნ ფირ ალი იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ იუსუფ იბნ ფირ ზენდინ იბნ ფირ ხატო იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ სმაილ იბნ ფირ ზენდინ (შემდეგ გადახაზულია რამდენიმე სახელი) იბნ ფირ ჯამო იბნ ხალატ იბნ ფირ ხერო იბნ ხალიდ იბნ აბდალ იბნ ფირ ხატიბ ჰსი იბნ ფირ ბუტარ. დაე, აცხონოს ის ღმერთმა და ყველა.

ეს გენეალოგიაა წინაპრების ფირ ალო იბნ ფირ უმარ იბნ ფირ ალი იბნ ფირ ხალიდ იბნ ფირ აბდალ იბნ ჰაჯი იბნ იუსუფ იბნ ნასრ იბნ ფირ ოსმან იბნ ფირ ალი იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ იუსუფ იბნ ფირ ზენდინ იბნ ფირ ხატო იბნ ჰაჯი იბნ ფირ სმაილ იბნ ფირ ზენდინ იბნ ფირ ჯამო იბნ ფირ ხალატ იბნ ფირ ხერო იბნ ფირ ხალიდ იბნ ფირ აბდალ იბნ ფირ ხატიბ ჰსი იბნ ფირ ბუტარ. დაე, აცხონოს ღმერთმა ყველა.

და დიდება ორთავ საუფლოს ღმერთს!

ეს მშური გადაიწერა რამაზანის თვის 9 დღეს, 1278 წელს⁶⁰. გადაწერილია მარგაჰს იმამის შეიხ მირზა იბნ შეიხ ალის მიერ. ყველა, ვინც კი წაიკითხავს ამ მშურს, დაე, ღმერთმა იხსნას ტანჯვისაგან და დაე, ლოცვა აღავლინოს მან ჩემთვის, რათა თავი დავადწიო ტანჯვა-წვალებას.

უზის სამი ბეჭედი მირზა იბნ ალის სახელით.

მშურს ასევე ერთვის ფურცელი, რომლის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო და სადაც ასევე მეორედებოდა გენეოლოგია ხატიბ ჰსის ფირთა და ასევე ჩამონათვალი უზიდი ტომებისა, რომელთაგან რამდენიმე არ იყო ჩაწერილი ძირითად დოკუმენტში. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ფურცელი ჩვეულებრივია და გამოყენებულია შავი სამუშაოსთვის ან მშურ-ის მოგვიანო დამატებად. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ხ. სულეიმანმა და ხ. ომარხალიმ ამ ფურცელზე არსებულ ტომთა სახელების ნაწილი ადადგინეს ტომთა ჩამონათვალის მიხედვით მშურის ძირითადი დოკუმენტიდან, თუმცა ვერ შეძლეს ყველა ჩამოთვლილი სახელის წაკითხვა ძირითადი დოკუმენტის

⁵⁷ ცუდად იკითხება და გაუგებარია.

⁵⁸ ცუდად იკითხება და გაუგებარია.

⁵⁹ ცუდად იკითხება. ხ. ომარხალისთანაა – პისმირანი, თუმცა, ეს უეჭველი არაა.

⁶⁰ 1862 წლის მარტი გრიგორიანული კალენდრის მიხედვით.

თანმხლები ფურცლიდან ან არ მიაქციეს მას ყურადღება. აღნიშნული სია ასევე ამყარებს ჰიპოთეზას ფირ ვაზირე ჰსოს გვარის, რომელიც ითვლებოდა ფირ ბუს ფირთა ოჯახიდან, ფირ ბუტარის ფირთა საგვარეულოსადმი მართებულად მიკუთვნების შესახებ იმის გამო, რომ მათი მიურიდები ემთხვევა ამ სიის მიურიდებს.

საჭიროდ ვთვლით, აღვადგინოთ ამ დოკუმენტის ტექსტი მშურისგან განცალკევებით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ყველა ეს ეთნონიმი და ტოპონიმი გაფანტულადაა დაწერილი და არაა მოწესრიგებული.

დანართი

ფირ ჰსო იბნ ფირ შარო იბნ ფირ სმაილ იბნ ფირ ნასრ ნასრ იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ ზენდინ იბნ ფირ ალი იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ ხატიბ იბნ ფირ ბუტარ.

ფირ ალო იბნ ფირ ამარ იბნ ფირ ალი იბნ ფირ ხალიდ იბნ ფირ აბდალ იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ იუსუფ იბნ ფირ ალი იბნ ფირ ჰაჯი იბნ ფირ ხატიბ იბნ ფირ ბუტარ.

ფირ მაჯი იბნ ფირ მურად იბნ ფირ მაჯო იბნ ფირ...

ალ-ყაიდის ყველა ალა (მარაბი), ბაღდადის მეოთხედი, აყონსის (მარაბი), ბასრას მეოთხედი, ყველა ქარ მილჰ, ქულ ჰუჯ, რაშკან (მარაბი), ალ-ბარავან: ჩამან, ჩლხანჯარი, შამი, პირპირკი; სტურკი, ბანდური, ალ-ყაიდის სტრიზარკი (მარაბი), ყველა ხატარი, ჰარუნკი (მარაბი), დაკან (მარაბი), ყველა ბასან, მანდამუსკან, სმოყი და ყველა რაშან, შარყი, ყველა შკაკან, მჰირნი, დუსტკი, ნახევარი რუბარ იმადია, მამუსი (მარაბი), ალ-ხისკის ტომი, ბაჰრ ხათუნი, დუმლი, ალ-ჰავერი და ქუზდერკან (?), ისტამბულის ქონების მეოთხედი, შაჰმირანის ტომი (მარაბი), წყალი და წყარო კიკი-ს ვილაიეთის⁶¹ (მეათედი).

რანდუზ-ის⁶² მეოთხედნახევარი, ნავრანის⁶³ ნახევარი, სულეიმანია-ს მეოთხედის ნახევარი, ბაიაზიდი მთლიანად, ისმჰან-ის მეოთხედი⁶⁴, დუჰოკის ლიჰვა, რავანის ვილაიეთის მეოთხედნახევარი⁶⁵, მურად-სუს წყლის მეოთხედის ნახევარი⁶⁶, ალ-ჯაზირა-ს⁶⁷ (მეათედი), მთლიანად აჯუზი⁶⁸ (მეათედი).

⁶¹ ეს აბზაცი ფირ ხიდრმა და ხ. ომარხალიმ გამოტოვეს, ალბათ ჩათვალეს, რომ ეს სახელწოდებები მეორდება, თუმცა მიუთითებელი სახელწოდებები მოხმობილ ნაწყვეტში სრულად არ ემთხვევა ტექსტს.

⁶² მართალია, წერია რანდუზი, „უეჭველია – რავანდუზი.

⁶³ ნაურანი დაბაა მოსულის ჩრდილოეთით, ოდესღაც ეზიდებით დასახლებული. ახლა ითვლება საზღვრად ერაყის არაბსა და ქურთ მოსახლეობას შორის. ხ. სულემანსა და ხ. ომარხალისთან შეცდომითაა თურანი.

⁶⁴ ხ. ომარხალისთან წერია ისბჰანი, თუმცა, წერტილები ასო ბ-ზე არაა. სავსებით შესაძლებელია, იგულისხმებოდა ისპაჰანი.

⁶⁵ ერევნის ძველი სახელწოდება ოსმალეთის იმპერიაში.


⁶⁶ ვანის რაიონში მდინარე ევფრატის შენაკადი.

⁶⁷ ჯაზირა იბნ ომარი - ქალაქ ჯუზირეს რაიონი თანამედროვე თურქეთში.


⁶⁸ ხ. ომარხალი თარგმნის მას როგორც „მოხუცი“, მაგრამ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს ტოპონიმი, რადგან საეჭვოა, რომ ეთნონიმთა და ტოპონიმთა ჩამოთვლის შემდეგ ყოფილიყო სიტყვა- მოხუცები. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის პერიოდში ერაყში არსებობდა რაიონი (ნაჰია „აჯუზ“) ამ სახელწოდებით. ამის შესახებ შეიძლება იხილოთ

გამოყენებული ლიტერატურა - References

- Badri, Abdallah. 915/1509. *Manaqib Sheikh Adi ibn Musafir*. [Virtues of Sheikh Adi]. The manuscript written in Damascus. 915/1509. Biblioteka Wetzsteiniana, II. № 1743 [In Arabic]
- Khalil Ali Murad and Abd al-Fatah Ali al-Botani. 2023. *Imarata Dasin wa Sheikhan fī al-a'hd al-O'smanī 1515-1750*. [Emirate of Dasin and Sheikhan in the Ottoman era (1515-1750)]. Arbil. [In Arabic].
- Lescot, Roger. *Enquête sur les Yezidis de Syrie et du Djebel Sindjar*, Beyrouth: Librairie du Liban. 1938.
- Mayeur-Jaouen, C. *Al-Sayyid Aḥmad al-Badawī. Un grand saint de l'Islam égyptien*, Cairo 1994.
- al-Miṣrī Abd al-Samad. *al-Jawāhir al-saniyya fī l-karāmāt wa-l-nisba al-Aḥmadiyya*, Cairo 1277/1860–1.
- Omarkhali Kh. *The Yezidi Religious Textual Tradition, from Oral to Written: Categories, Transmission, Scripturalisation and Canonisation of the Yezidi Oral Religious Texts: with Samples of Oral and Written Religious Texts and with Audio and Video Samples on CD-ROM*, Wiesbaden: Harrassowitz Verlag. 2017.
- Pirbari D., Mossaki N. & Yezdin M. “A Yezidi Manuscript:—Mišūr of P'ir Sīnī Bahrī/P'ir Sīnī Dārānī, Its Study and Critical Analysis,” *Iranian Studies*, 2020, 53:1-2, 223-257, DOI: 10.1080/00210862.2019.1669118.
- Pirbari D. V., Mossaki N. Z. A “Yezidi Manuscript – Mišūr of Pir Amar Qubaysi, its study and critical analysis,” *Eurasian Arabic Studies*. 2022;5(3):66-87. DOI: 10.26907/2619-1261.2022.5.3.66-87.
- Pirbari D. & Mossaki N. “A Yezidi Manuscript – Mišūr of P'ir 'Omar Khālān, Its Study And Critical Analysis”, *The near East and Georgia/ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* [The academic journal “the Near East and Georgia” is published by the G. Tsetereli Institute of Oriental Studies of the Ilia State University, Tbilisi]. 2022. No. 14. Pp. 302-316. DOI: 10.32859/neg.14.631.302-316
- Sileman Kh. [P'ir Xidir Sileman], 1994. “Mishurat al-yazidiyat” [Mišûrs of Yezidis],” *Laliş* (Duhok, Iraqi Kurdistan) 2-3: 95–113. (In Arab.).
- Sileman Kh. [P'ir Xidir Sileman]. *Sifr al-izidiya* / Min manshurat markaz Lalish. al-sakafi wa al-ijtimai. silsila raqm 9 [Yezidi books / From the publications of the Cultural and Public Center “Laliş”. Series IX.]. Duhok, Iraqi Kurdistan: Spîrez, 2009. (In Arab.)
- al-Tādifī, Muḥammad ĩbn Yaḥya. 1956. *Qalā'id al-Jawāhir fī minakīb Abd al-Kadīr al-Jīlanī* (Precious stories about the acts of 'Abd al-Qādir Gīlānī), Masr [Egypt], [Without the city and the publisher] [In Arabic]



სურ. 1 - მშურის დასაწყისი



სურ. 4 – ფირ ხიდრის და ხ. ომარხალის მიერ გამოტოვებული ტომები ცალკე ფურცელზე